თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებელი ნარჩენი ნივთიერებების ლაბორატორიული კვლევა ხორციელდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში (მის.: ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. #65, ტელ.: 253 09 68); „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით“ განსაზღვრული პარამეტრების კვლევა კი შესაძლებელია ამავე და სხვა აკრედიტებულ ლაბორატორიებში, რომელთა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის ვებგვერდზე: www gac.gov.ge
საქართველოში რეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატების ჩამონათვალი იხილეთ ვებგვერდზე: www.nfa.gov.ge

This project is funded by the European Union

სუს
სურსათის ეროვნული სააგენტო

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ
სურსათის ეროვნულ სააგენტოს
თბილისი, მარშალ გელოვანის N 6
ტელ.: 291 91 68
ვებ: www.nfa.gov.ge
e-mail: info@nfa.gov.ge

მეფუტკრე ფერმერის გზამკვლევი

ქართული თაფლის გზა ევროპისკენ

ინფორმაცია მათთვის, ვისი საქმიანობაც თაფლის პირველად წარმოებასთან, გადამუშავებასა და დისტრიბუციასთან არის დაკავშირებული

2015 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევიდა თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ადგენს მოთხოვნებს ნატურალური თაფლის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ თაფლის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების საკითხებს.

მეფუტკრე ფერმერი ვალდებულია:

- დარეგისტრირდეს ბიზნესოპერატორად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში (მომსახურების ცენტრებში);
- აწარმოოს და ბაზარზე განათავსოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეტიკეტირებული ნატურალური თაფლი.

რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ თაფლის მწარმოებლებმა

თაფლის პირველადი წარმოებისა და გადამუშავების ეტაპებზე დაიცავით ჰიგიენური ნორმები:

- ტერიტორია და შენობები შეარჩიეთ ცხოველთა სადგომების, ნაგავსაყრელების, გუბურებისა და სხვა დაბინძურებული ადგილებისგან მოშორებით;
- სკა, ჭურჭელი, ყუთი, სადისტრიბუციო და სხვა გადასაზიდი საშუალებები და მოწყობილობები შეინახეთ სუფთად;
- საფუტკრე მეურნეობაში თაფლის წარმოების ეტაპზე გამოიყენეთ სასმელი წყალი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- საწარმოო ნარჩენები გაიტანეთ რეგულარულად და წარმოება დაიცავით ცხოველების, მღრღნელების, ფრინველებისა და სხვა მავნებლებისაგან;
- გააკონტროლეთ ფუტკრის დაავადებები, გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატები; დაიცავით ლოდინის/დაყოვნების პერიოდი.

თაფლის მწარმოებელი ვალდებულია, ფლობდეს ინფორმაციას იმ პირის ან ბიზნესოპერატორის შესახებ, ვისაც თაფლს აწვდის.

აკრძალულია:

- არარეგისტრირებული ვეტერინარული პრეპარატებისა და ნივთიერებების სამკურნალო ან პროფილაქტიკური დანიშნულებით გამოყენება!
- ბაზარზე განთავსებულ თაფლში საკვებდანამატებისა და სხვა საკვები ინგრედიენტების დამატება!
- თაფლის მუავიანობის ხელოვნურად შეცვლა!
- თაფლის გაცხელება და გადამუშავება იმგვარად, რომ შეიცვალოს მისი ძირითადი მაჩვენებლები!

თაფლის შემცველობის დასაშვები ნორმების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე: www.nfa.gov.ge

თაფლი არ უნდა შეიცავდეს ევროკავშირში აკრძალული ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენ ნივთიერებებს:

- ქლორამფენიკოლს (ლევომიცეტინი);
- ნიტროფურანებს;
- მეტრონიდაზოლს;
- ქლორორგანული და ფოსფორორგანული პესტიციდების ნარჩენ ნივთიერებებს;
- სხვა მდგრად ორგანულ დამაბინძურებლებს.